

შპს „საქართველოს ფოსტა“

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქართველოს ფოსტა“

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	12
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	13
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	14
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	15

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	17
2. წინა წლის რეკლასიფიკაციები და კორექტირებები	17
3. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	19
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	32
5. ძირითადი საშუალებები	35
6. საინვესტიციო ქონება	36
7. არამატერიალური აქტივები	37
8. მარაგები	38
9. მოთხოვნები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	38
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	39
11. საბანკო გარანტიები	40
12. ფული და ფულის ექვივალენტები	40
13. საწესდებო კაპიტალი	41
14. ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	41
15. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები და მათი მიმდინარე ნაწილი	42
16. ანარიცხი	42
17. ვალდებულება საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	43
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	44
19. შემოსავალი	44
20. სხვა შემოსავალი	44
21. პერსონალის ხარჯი	45
22. სხვა ხარჯები	45
23. საპროცენტო შემოსავალი, ნეტო	46
24. მოგების გადასახადი	46
25. სასამართლო დავები	46
26. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	47
27. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	53
28. ბალანსის შემდგომი მოვლენები	54
29. ფუნქციონირებადობა	54

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მენეჯმენტს და დამფუძნებელს

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „საქართველოს ფოსტა“-ს (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება 2017 და 2016 წლების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 3 000 ათასი ლარის ოდენობის ვალდებულების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, რომელიც 2016 წლის 6 დეკემბერს კომპანიის ანგარიშზე ჩარიცხული იქნა სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ბრძანების საფუძველზე. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ თანხასთან მიმართებაში, ასევე, სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც ეს აღნიშნულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-13 შენიშვნაში, 2017 და 2016 წლებში დამფუძნებლის მიერ განხორციელდა კაპიტალში არაფულადი აქტივების, მიწა და შენობების, ასევე სხვა სახის მოძრავი ქონების შეტანა. აქტივები შეტანილ იქნა რეალური ღირებულებით, რომელიც განსაზღვრული იყო დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ჩვენ ვერ შევამოწმეთ, იყო თუ არა განსაზღვრული რეალური ღირებულება ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად. შედეგად, ვერ შევძელით განვსაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები აღნიშნულ თანხებთან მიმართებაში, ასევე, ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაღდი ფულის არსებობასთან დაკავშირებით, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 135 ათასი ლარის ოდენობით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით დავსწრებოდით ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამასთანავე ჯგუფს არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფის ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში ძირითადი საშუალებების რაოდენობრივ სისწორეზე, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად 41 859 ათასი და 39 714 ათასი ლარის ღირებულებით არის ასახული. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით დავსწრებოდით საინვესტიციო ქონების ინვენტარიზაციას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამასთანავე ჯგუფს არ ჩაუტარებია საინვესტიციო ქონების ინვენტარიზაცია 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფის საინვესტიციო ქონების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში საინვესტიციო ქონების რაოდენობრივ სისწორეზე, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად ასახულია 2 780 ათასი და 4 316 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჯგუფს არ შეუფასებია საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შედეგად საინვესტიციო ქონების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარდგენილი საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება.

როგორც ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაშია აღნიშნული, ძირითადი საშუალებების ჯგუფი მიწა და შენობები მოცემულია ერთ ქვეჯგუფად. ჯგუფს არ აქვს გამიჯნული მიწის და შენობის ღირებულება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 21 683 ათასი და 20 243 ათასი ლარის ღირებულებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითადი საშუალებების ქვეჯგუფის, მიწა და შენობების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, ასევე, სრული

შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-6 შენიშვნაშია აღნიშნული, საინვესტიციო ქონების ჯგუფი მიწა და შენობები მოცემულია ერთ ქვეჯგუფად. ჯგუფს არ აქვს გამიჯნული მიწის და შენობის ღირებულება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 2 457 ათასი და 3 955 ათასი ლარის ღირებულებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა საინვესტიციო ქონების ქვეჯგუფის, მიწა და შენობების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული მარაგების ინვენტარიზაციას. ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება მოცემულ თარიღში მარაგების რაოდენობრივ სისწორეზე, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 3 752 ათასი და 3 409 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ და აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ მოთხოვნებზე, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 6 883 ათასი და 7 020 ათასი ლარის ღირებულებით. ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ასევე ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურებით დაგვედასტურებინა წარდგენილი თანხების სიზუსტე. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ამ თანხებთან მიმართებაში. ასევე, სრული შემოსავლის, კაპიტალის მოძრაობის და ფულადი სახსრების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ ვალდებულებებზე, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 9 932 ათასი და 4 894 ათასი ლარის ღირებულებით. ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ასევე ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურებით დაგვედასტურებინა წარდგენილი თანხების სიზუსტე. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ამ თანხებთან მიმართებაში. ასევე, სრული შემოსავლის, კაპიტალის მოძრაობის და ფულადი სახსრების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი

დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ ჯგუფისაგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

თქვენს ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 29-ე შენიშვნაში ასახულ ინოფორმაციაზე, რომლის თანახმადაც: მიუხედავად შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტა“-ს პრივატიზებასთან მიმართებაში არსებული ზოგადი განზრახვისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღის, ასევე მისი დამტკიცების თარიღის მდგომარეობით, არ არსებობს რეალური საფუძველი ან/და ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კომპანიის ან/და მისი წილის გასხვისების/პრივატიზების რეალურ წინაპირობას შექმნიდნენ. ამასთანავე, შესამუშავებელია ნორმატიული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც კანონის დონეზე დაარეგულირებს საფოსტო საქმიანობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტა“-ს ან/და მისი წილის გასხვისება/პრივატიზება არ მოიაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან, ასევე მისი დამტკიცების თარიღიდან მომდევნო 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამ საკითხთან მიმართებაში ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

შპს „საქართველოს ფოსტა“-ს 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა წინამორბედმა აუდიტორმა, რომელმაც 2017 წლის 19 დეკემბერს პირობითი მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ. წინამორბედი აუდიტორის პირობითი მოსაზრების საფუძვლები მოცემულია ქვემოთ:

„ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმისა რომ კომპანიის მიერ კაპიტალის ზრდად ასახული, 2016 წლის 6 დეკემბერს კომპანიის ანგარიშზე ჩარიცხული 3 000 000 ლარი წარმოადგენს დამფუძნებლის შენატანს კაპიტალში. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ, 2016 წელს კაპიტალში ბოლო არაფულადი შენატანის განხორციელების ამსახველი ბრძანების თანახმად, რაც ზემოაღნიშნული ფულადი ჩანარიცხის შემდეგ, 23 დეკემბერს განხორციელდა, დამფუძნებლის კაპიტალი განსაზღვრულია 48 077 148 ლარით, რაც 3 000 000 ლარის ოდენობით ფულად ჩანარიცხს არ მოიცავს. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნული თანხის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც ეს აღნიშნულია ფინანსური ანგარიშგების მე-10 შენიშვნაში, 2016 და 2015 წლებში დამფუძნებლის მიერ განხორციელდა კაპიტალში არაფულადი აქტივების, მიწა და შენობების შეტანა. აქტივები შეტანილ იქნა რეალური ღირებულებით, რომელიც განსაზღვრული იყო დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ჩვენ ვერ შევამოწმეთ, იყო თუ არა განსაზღვრული რეალური ღირებულება ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად. შედეგად, ვერ შევძელით განვსაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები აღნიშნულ თანხებთან მიმართებაში, ასევე, ფინანსური მდგომარეობის, სრული

შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაღდი ფულის არსებობასთან დაკავშირებით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 207 668 ლარის ოდენობით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანიას არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში ძირითადი საშუალებების რაოდენობრივ სისწორეზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად 39 714 491 და 33 437 032 ლარის ღირებულებით არის ასახული. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანიას არ ჩაუტარებია საინვესტიციო ქონების ინვენტარიზაცია 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის საინვესტიციო ქონების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში საინვესტიციო ქონების რაოდენობრივ სისწორეზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად ასახულია 4 316 462 და 3 234 589 ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანიას არ შეუფასებია საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შედეგად საინვესტიციო ქონების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარდგენილი საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება.

როგორც ეს ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაშია აღნიშნული, ძირითადი საშუალებების ჯგუფი მიწა და შენობები მოცემულია ერთ ქვეჯგუფად. კომპანიას არ აქვს გამიჯნული მიწის და შენობის ღირებულება 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 20 243 278 და 21 593 822 ლარის ღირებულებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითადი საშუალებების ქვეჯგუფის, მიწა და შენობების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც ეს ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაშია აღნიშნული, საინვესტიციო ქონების ჯგუფი მიწა და შენობები მოცემულია ერთ ქვეჯგუფად. კომპანიას არ აქვს გამიჯნული მიწის და შენობის ღირებულება 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 3 955 059 და 3 158 692 ლარის ღირებულებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა საინვესტიციო ქონების ქვეჯგუფის, მიწა და შენობების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული მარაგების ინვენტარიზაციას. ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება მოცემულ თარიღში მარაგების რაოდენობრივ სისწორეზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 3 407 182 ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ და აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან, ფინანსურ ანგარიშგებაში 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 14 522 116 და 12 641 874 ლარის ღირებულებით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ასევე ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურებით დაგვედასტურებოდა წარდგენილი თანხების სიზუსტე. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ამ თანხებთან მიმართებაში. ასევე, სრული შემოსავლის, კაპიტალის მოძრაობის და ფულადი სახსრების ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან, ფინანსურ ანგარიშგებაში 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 18 266 118 და 13 369 933 ლარის ღირებულებით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ასევე ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურებით დაგვედასტურებოდა წარდგენილი თანხების სიზუსტე. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ამ თანხებთან მიმართებაში. ასევე, სრული შემოსავლის, კაპიტალის მოძრაობის და ფულადი სახსრების ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.“

სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშგება) რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას (მმართველობის ანგარიშგებას) და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას (მმართველობის ანგარიშგებას) და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშგება) არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დაგვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია *შპს „საქართველოს ფოსტა“-ს* ჯგუფის მენეჯმენტისა და მესაკუთრისათვის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონი“-თ გათვალისწინებული მიზნებისათვის და არა რომელიმე სხვა მიზნით. აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

აუდიტორად დანიშვნა

ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ შპს „საქართველოს ფოსტა“- სთან გაფორმებული, 2018 წლის 11 ივლისის T-133-18 ხელშეკრულების, ასევე 2018 წლის 11 ივლისის გარიგების წერილის საფუძველზე, იმისათვის რომ ჩაგვეტარებინა 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლის წლიური ანგარიშის აუდიტი, რომელიც მოიცავდა, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მმართველობის ანგარიშგებას (შესაბამისი მოცულობით). აუდიტის გარიგებაში დაკავების ჯამური უწყვეტი პერიოდი შეადგენს ორ წელს, რომელიც შესაბამისად 2016 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებულ წლებს მოიცავს.

გარდა ზემოაღნიშნული აუდიტორული მომსახურებისა, სხვა მარწმუნებელი ან არამარწმუნებელი მომსახურების გაწევა შპს „საქართველოს ფოსტა“- სათვის არ მომხდარა. ჩვენ დამოუკიდებლად ვიყავით შპს „საქართველოს ფოსტა“- ს ჯგუფისგან, ჩვენი აუდიტის ჩატარების პროცესში.

ლევან პაპიაშვილი

შპს „კრესტონ პაპიაშვილი“-ს სახელით

09.11.2018

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,


თბილისი 0186, საქართველო

აუდიტორად დანიშვნა

ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ შპს „საქართველოს ფოსტა“- სთან გაფორმებული, 2018 წლის 11 ივლისის T-133-18 ხელშეკრულების, ასევე 2018 წლის 11 ივლისის გარიგების წერილის საფუძველზე, იმისათვის რომ ჩაგვეტარებინა 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლის წლიური ანგარიშის აუდიტი, რომელიც მოიცავდა, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მმართველობის ანგარიშგებას (შესაბამისი მოცულობით). აუდიტის გარიგებაში დაკავების ჯამური უწყვეტი პერიოდი შეადგენს ორ წელს, რომელიც შესაბამისად 2016 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებულ წლებს მოიცავს. გარდა ზემოაღნიშნული აუდიტორული მომსახურებისა, სხვა მარწმუნებელი ან არამარწმუნებელი მომსახურების გაწევა შპს „საქართველოს ფოსტა“- სათვის არ მომხდარა. ჩვენ დამოუკიდებლობე ვიყავით შპს „საქართველოს ფოსტა“- ს ჯგუფისგან, ჩვენი აუდიტის ჩატარების პროცესში.

ლევან პაპიაშვილი

შპს „კრესტონ პაპიაშვილი“-ს სახელით



09.11.2018

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,

თბილისი 0186, საქართველო

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	41,859	39,714
საინვესტიციო ქონება	6	2,780	4,316
არამატერიალური აქტივები	7	37	59
სულ გრძელვადიანი აქტივები		44,676	44,089
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	3,752	3,409
მოთხოვნები საერთაშორისო საფოსტო			
ადმინისტრაციების მიმართ	9	6,883	7,020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	6,930	7,669
საბანკო გარანტიები	11	213	213
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	10,407	8,021
სულ მიმდინარე აქტივები		28,185	26,332
სულ აქტივები		72,861	70,421
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	48,312	48,077
დაგროვილი მოგება (ზარალი)		(42)	437
სულ საკუთარი კაპიტალი		48,270	48,514
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	14	8,646	8,646
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	15	437	92
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,083	8,738
მიმდინარე ვალდებულებები			
ანარიცხი	16	103	563
გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	15	433	71
ვალდებულებები საერთაშორისო საფოსტო			
ადმინისტრაციების მიმართ	17	9,932	4,894
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	5,040	7,641
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		15,508	13,169
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		72,861	70,421

დირექტორი
ლევან ჩიკვაძე
31.10.2018, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ქანა ბალასანიანი
31.10.2018, თბილისი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	41,859	39,714
საინვესტიციო ქონება	6	2,780	4,316
არამატერიალური აქტივები	7	37	59
სულ გრძელვადიანი აქტივები		44,676	44,089
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	3,752	3,409
მოთხოვნები საერთაშორისო საფოსტო			
ადმინისტრაციების მიმართ	9	6,883	7,020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	6,930	7,669
საბანკო გარანტიები	11	213	213
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	10,407	8,021
სულ მიმდინარე აქტივები		28,185	26,332
სულ აქტივები		72,861	70,421
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	48,312	48,077
დაგროვილი მოგება (ზარალი)		(42)	437
სულ საკუთარი კაპიტალი		48,270	48,514
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	14	8,646	8,646
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	15	437	92
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,083	8,738
მიმდინარე ვალდებულებები			
ანარიცხი	16	103	563
გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	15	433	71
ვალდებულებები საერთაშორისო საფოსტო			
ადმინისტრაციების მიმართ	17	9,932	4,894
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	5,040	7,641
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		15,508	13,169
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		72,861	70,421

დირექტორი
ლევან ჩიკვაძე
31.10.2018, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ჟანა ბალასანიანი
31.10.2018, თბილისი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	19	86,642	70,446
სხვა შემოსავალი	20	128	245
სულ		86,770	70,691
მარაგების ცვლილება		343	1,075
მარაგების შესყიდვის ხარჯი		(30,390)	(25,037)
პერსონალის ხარჯი	21	(23,566)	(23,037)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,380)	(2,997)
სხვა ხარჯები	22	(30,372)	(20,550)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი		(913)	(1,442)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(1,508)	(1,297)
საპროცენტო შემოსავალი, ნეტო	23	454	247
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		725	(485)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(329)	(1,535)
მოგების გადასახადი	24	(1)	(717)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(330)	(2,252)
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება: საკურსო სხაობა ოპერაციების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშებისას		4	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		(326)	(2,252)

დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე
31.10.2018, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ჟანა ბალასანიანი
31.10.2018, თბილისი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	19	86,642	70,446
სხვა შემოსავალი	20	128	245
სულ		86,770	70,691
მარაგების ცვლილება		343	1,075
მარაგების შესყიდვის ხარჯი		(30,390)	(25,037)
პერსონალის ხარჯი	21	(23,566)	(23,037)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,380)	(2,997)
სხვა ხარჯები	22	(30,372)	(20,550)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი		(913)	(1,442)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(1,508)	(1,297)
საპროცენტო შემოსავალი, ნეტო	23	454	247
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		725	(485)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(329)	(1,535)
მოგების გადასახადი	24	(1)	(717)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(330)	(2,252)
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება:			
საკურსო სხაობა ოპერაციების წარსადგენ ვალუტაში გადანაწილებისას		4	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		(326)	(2,252)

დირექტორი
ლევან ჩიკვაძე
31.10.2018, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ჟანა ბალასანიანი
31.10.2018, თბილისი

**შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება**

(ათას ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2014	42,630	(3,729)	38,901
სრული შემოსავალი	-	121	121
დამფუძნებლების შენატანები კაპიტალში	4,015	-	4,015
არაფულადი აქტივების გატანა დამფუძნებლის მიერ	(845)	(444)	(1,289)
31 დეკემბერი 2015	45,800	(4,052)	41,748
სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	(2,252)	(2,252)
გადავადებული მოგების გადასახადის გაუქმება	-	3,430	3,430
გაუნაწილებელი მოგების სხვა კორექტირებები	-	(83)	(83)
არაფულადი აქტივების შემოტანა			
დამფუძნებლის მიერ	8,673	-	8,673
არაფულადი აქტივების გატანა დამფუძნებლის მიერ	(6,396)	3,394	(3,002)
31 დეკემბერი 2016	48,077	437	48,514
სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	(326)	(326)
არაფულადი აქტივების შემოტანა			
დამფუძნებლის მიერ	443	-	443
არაფულადი აქტივების გატანა დამფუძნებლის მიერ	(208)	(153)	(361)
31 დეკემბერი 2017	48,312	(42)	48,270

დირექტორი
ლევან ჩიკვაძე
31.10.2018, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ჟანა ბალასანიანი
31.10.2018, თბილისი

**შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება**
(ათას ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2014	42,630	(3,729)	38,901
სრული შემოსავალი	-	121	121
დამფუძნებლების შენატანები კაპიტალში	4,015	-	4,015
არაფულადი აქტივების გატანა დამფუძნებლის მიერ	(845)	(444)	(1,289)
31 დეკემბერი 2015	45,800	(4,052)	41,748
სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	(2,252)	(2,252)
გადავადებული მოგების გადასახადის გაუქმება	-	3,430	3,430
გაუნაწილებელი მოგების სხვა კორექტირებები	-	(83)	(83)
არაფულადი აქტივების შემოტანა დამფუძნებლის მიერ	8,673	-	8,673
არაფულადი აქტივების გატანა დამფუძნებლის მიერ	(6,396)	3,394	(3,002)
31 დეკემბერი 2016	48,077	437	48,514
სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	(326)	(326)
არაფულადი აქტივების შემოტანა დამფუძნებლის მიერ	443	-	443
არაფულადი აქტივების გატანა დამფუძნებლის მიერ	(208)	(153)	(361)
31 დეკემბერი 2017	48,312	(42)	48,270

დირექტორი
ლევან ჩიკვაძე
31.10.2018, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ქანა ბალასანიანი
31.10.2018, თბილისი

**შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

(ათას ლარში)

	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე	(328)	(1,534)
კორექტირებები:		
საწყისი ნაშთების კორექტირება	-	(83)
ცვეთა და ამორტიზაცია	3,380	2,997
გაუფასურების ხარჯი	913	1,442
მარაგების გაუფასურება	149	(167)
ანარიცხების ცვლილება	(160)	320
საპროცენტო შემოსავალი, ნეტო	(454)	(247)
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(128)	(124)
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	(725)	485
საკურსო სხაობა ოპერაციების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშებისას	4	-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში	2,651	3,089
ცვლილებამდე		
საოპერაციო საქმიანობისთვის საბანკო გარანტიების ზრდა	-	(213)
მარაგების ზრდა	(492)	(905)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(103)	(2,958)
საფოსტო ადმინისტრაციების წინაშე მოთხოვნების ზრდა	136	47
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	(1,859)	224
საფოსტო ადმინისტრაციების წინაშე ვალდებულებების ზრდა	5,039	3,144
ანარიცხების შემცირება	(301)	(643)
გრძელვადიანი ვალდებულებების შემცირება	329	(75)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	5,400	1,710
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ზრდა	(4,619)	(4,103)
ძირითადი საშუალებების გასვლა	96	1,748
საინვესტიციო ქონების გასვლა	766	864
მიღებული პროცენტები	470	281
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,287)	(1,210)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დამფუძნებლის ფულადი შენატანი	-	3,000
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	3,000

**შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

(ათას ლარში)

ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	2,111	3,501
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	8,021	4,548
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	275	(28)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	<u>10,407</u>	<u>8,021</u>

დირექტორი
ლევან ჩიკვაძე
31.10.2018, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ჟანა ბალასანიანი
31.10.2018, თბილისი

**შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**
(ათას ლარში)

	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე	(328)	(1,534)
კორექტირებები:		
საწყისი ნაშთების კორექტირება	-	(83)
ცვეთა და ამორტიზაცია	3,380	2,997
გაუფასურების ხარჯი	913	1,442
მარაგების გაუფასურება	149	(167)
ანარიცხების ცვლილება	(160)	320
საპროცენტო შემოსავალი, ნეტო	(454)	(247)
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(128)	(124)
წმინდა (მოგება)/ზარალი საკუროსო სხვაობიდან	(725)	485
საკუროსო სხაობა ოპერაციების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშებისას	4	-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	2,651	3,089
საოპერაციო საქმიანობისთვის საბანკო გარანტიების ზრდა	-	(213)
მარაგების ზრდა	(492)	(905)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(103)	(2,958)
საფოსტო ადმინისტრაციების წინაშე მოთხოვნების ზრდა	136	47
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	(1,859)	224
საფოსტო ადმინისტრაციების წინაშე ვალდებულებების ზრდა	5,039	3,144
ანარიცხების შემცირება	(301)	(643)
გრძელვადიანი ვალდებულებების შემცირება	329	(75)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	5,400	1,710
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ზრდა	(4,619)	(4,103)
ძირითადი საშუალებების გასვლა	96	1,748
საინვესტიციო ქონების გასვლა	766	864
მიღებული პროცენტები	470	281
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,287)	(1,210)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დამფუძნებლის ფულადი შენატანი	-	3,000
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	3,000

**შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

(ათას ლარში)

ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	2,111	3,501
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	8,021	4,548
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	275	(28)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	10,407	8,021

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საქმიანობის შედეგად შპს „საქართველოს ფოსტა“ დაფუძნებულია 06.07.1995 წელს შპს 100%-იანი წილის მფლობელი 2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის სრულყოფილი. 2016 წლის წინაწინა, შპს „საქართველოს ფოსტა“-ს სრულყოფილი დაფუძნება მოხდა შპს (საბანკო) I.K.E. (14045301000) დირექტორი კათარა კოდანაშვილი 100% წილის ფლობით. გულის მართლად საქმიანობა მომსახურების უზრუნველყოფა უზრუნველდება საფოსტო და გადაზიდვის მომსახურების სფეროში შემავალი სერვისებით. ასევე შპს „საქართველოს ფოსტა“ ეწევა სავაჭროების და სხვა პრაქტიკული რეალური, კონკრეტული მომსახურების გადამამუშავების მიზნებს. ფულადი გზავნილების მომსახურება უზრუნველყოფა სრულყოფილი ქაინების უზრუნველყოფა საფოსტო მმართველობაში დედა განხორციელებულია ქ. თბილისი, საფოსტო მოედანი #7. შპს „საქართველოს ფოსტა“-ს დასრულებულია ღირს ზრდა. შპს „საქართველოს ფოსტა“ საქართველოს მასშტაბით 31 სექტემბრისთვის არის წარმადებითი.

განმარტება არის შემოღებული კომპანია წარდგენილი საქმიანობის:

შეღობილი კომპანია	წარდგენილი მომსახურება	დაფუძნების თარიღი	საქმიანობის სფერო
Georgian Post (Greece) I.K.E. (14045301000)	100%	08.11.2016	საფოსტო მომსახურება

2. შპს წლის რეკლამის კავშირი და კორექტირება


რეკლამის კავშირი

გარკვეული რეკლამის კავშირი გამოხატულია 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში საქმიანობაში, შპს-ის მასშტაბით ყოველწლიურ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ პრეზენტაციას.


1) 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური უზრუნველყოფა და კლირინგ ცენტრის მართვა შპს-ის შემოსავალი 15 ათასი ლარი შეადგენდა იმ ფულის ექვივალენტად. 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის საქმიანობაში, შპს-ის შემოსავალი 15 ათასი ლარი შეადგენდა იმ ფულის ექვივალენტად.

2) შპს ფულის ფინანსური უზრუნველყოფა შპს-ის განმარტებითი საქმიანობისათვის.

დირექტორი
ლევან ჩიკვაძე
31.10.2018, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
ჟანა ბალასანიანი
31.10.2018, თბილისი



1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შპს „საქართველოს ფოსტა“-სა (დედა კომპანია - 203836233) და მისი შვილობილი კომპანიის, საბერძნეთის კანონმდებლობის ქვეშ მოქმედი Georgian Post (Greece) I.K.E- საგან (შემდგომში „ჯგუფი“) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის. შპს „საქართველოს ფოსტა“ დაფუძნებულია 06.07.1995 წელს. მისი 100%-იანი წილის მფლობელი 2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის სახელმწიფო. 2016 წლის ნოემბერში, შპს „საქართველოს ფოსტა“-მ საბერძნეთში დააფუძნა Georgian Post (Greece) I.K.E (140485301000, დირექტორი გიორგი კოლუაშვილი) 100% წილის ფლობით. ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა მომხმარებლის უზრუნველყოფა უნივერსალური საფოსტო და გადაზიდვის მომსახურების სფეროში შემავალი სერვისებით. ასევე, შპს „საქართველოს ფოსტა“ ეწევა სიგარეტებისა და სხვა პროდუქციის რეალიზაციას, კომუნალური მომსახურების გადასახადების მიღებას, ფულადი გზავნილების მომსახურებას. ჯგუფი იმყოფება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მმართველობაში. დედა კომპანიის მისამართია ქ. თბილისი, სადგურის მოედანი #2. შპს „საქართველოს ფოსტა“-ს დირექტორია ლევან ჩიკვაიძე. შპს „საქართველოს ფოსტა“ საქართველოს მასშტაბით 82 სერვის ცენტრით არის წარმოდგენილი.

კომპანია არის მშობელი კომპანია შემდეგი საწარმოებისა:

შვილობილი კომპანია	წილობრივი მონაწილეობა		დაფუძნების თარიღი	საქმიანობის სფერო
	2017	2016		
Georgian Post (Greece) I.K.E (140485301000)	100%	100%	08.11.2016	საფოსტო მომსახურება

2. წინა წლის რეკლასიფიკაციები და კორექტირებები

რეკლასიფიკაციები

გარკვეული რეკლასიფიკაციები განხორციელდა 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა ის თანხვედრაში ყოფილიყო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ პრეზენტაციასთან.

1) 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფონდ უპუს მიმართ მოთხოვნა და კლირინგ ცენტრის მიმართ მოთხოვნა (ჯამურად 15 ათასი ლარი) აღიარებული იყო ფულის ეკვივალენტად. 2017 წლისთვის მოხდა მათი რეკლასიფიცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში, რადგან ამ თანხების დაუბრკოლებლად განკარგვა შეუძლებელია და შინაარსობრივად წარმოადგენს მოთხოვნას.

2) ასევე ფულის ეკვივალენტად იყო აღიარებული ბანკში განთავსებული თანხის ნაწილი, 200 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ დამტკიცებულ საბანკო გარანტიას და 5 ათასი დოლარის ექვივალენტი ლარში - საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვითა ასოციაციის (GIRCA) სასარგებლოდ დამტკიცებული გარანტია.

შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან ცალკე გამოიყო მოთხოვნა საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებიდან - ვალდებულება საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ. შესაბამისად 7,020 ათასი და 4,894 ათასი ლარი.

4) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებიდან გამოიყო და ცალკე წარდგა ასევე ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე. (5,646 ათასი ლარი)

5) 2016 წელში მარაგების შესყიდვის ხარჯში იყო დაჯამებული ის ხარჯები, რომლებიც თავდაპირველად შეძენილი იყო მარაგის სახით, თუმცა დაიხარჯა ფოსტის საქმიანობისთვის და არ გაყიდულა (3,099 ათასი ლარი). მსჯელობის შედეგად, მარაგების შესყიდვის ხარჯში დარჩა მხოლოდ იმ მარაგების შესყიდვის ხარჯი, რისი რეალიზაციაც კომპანიამ მოახდინა, ხოლო საკუთარი მოხმარებისთვის დახარჯული მასალების ხარჯები აისახა საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

6) ტერმინალებით გადახდილი თანხა, რომელიც ჯერ არ იყო ასახული კომპანიის საბანკო ანგარიშზე (7 ათასი ლარი) გადატანილ იქნა სხვა მოთხოვნებში

7) 3,000 ათასი ლარი კაპიტალიდან გადავიდა "ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე" ანგარიშზე, ვინაიდან, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ამ თანხას არ განიხილავს კაპიტალში შენატანად.

	რეკლასი ფიკაციაზე	რეკლასი ფიკაცია	რეკლასი ფიცირებული
მოთხოვნები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	-	7,019	7,019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,522	(6,997)	7,525
საბანკო გარანტიები	-	213	213
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,256	(235)	8,020
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	-	8,646	8,646
ვალდებულებები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	-	4,894	4,894
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,266	(10,539)	7,727
მარაგების შესყიდვის ხარჯი	(28,135)	3,099	(25,037)
სხვა ხარჯები	(17,451)	(3,099)	(20,550)
საწესდებო კაპიტალი	51,077	(3,000)	48,077

კორექტირებები

2017 წლის განმავლობაში, ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ შეცდომები ჰქონდა დაშვებული 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

შეცდომები, რომლებმაც გავლენა მოახდინა ფინანსური ანგარიშგების მუხლებზე, შესწორებულ იქნა შესაბამის პერიოდში.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში შეჯამებულია 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელებული კორექტირებები.

შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	კორექტი რებადღე	კორექტი რება	კორექტი რებული
სულ აქტივები	70,275	146	70,421
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,525	144	7,669
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,020	-	8,021
მარაგები	3,407	2	3,409
სხვა	51,323	-	51,323
სულ ვალდებულებები	21,993	(86)	21,907
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,180	(86)	18,094
სხვა	3,813	-	3,813
სულ კაპიტალი	48,282	232	48,515
საწესდებო კაპიტალი	48,077	-	48,077
დაგროვილი მოგება (ზარალი)	205	232	437

სრული შემოსავლების ანგარიშგება

სულ საოპერაციო შემოსავალი	70,459	232	70,691
შემოსავალი	70,214	232	70,446
სხვა საოპერაციო შემოსავალი	245	-	245
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	(238)	-	(238)
სულ ხარჯები	(72,705)	-	(72,705)
სულ სრული შემოსავალი	(2,484)	-	(2,252)

3. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

(ათას ლარში)

შეფასების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ათას ლარამდე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები არის საწარმოები, მათ შორის სტრუქტურირებული ერთეულები, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი რადგან (1) აქვს უფლებამოსილება წარმართოს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის შემოსავლიანობაზე, (2) აქვს საშუალება და უფლება შეცვალოს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლიანობა მოცემულ საწარმოში მისი მონაწილეობით და (3) აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს მისი ძალაუფლება ინვესტირებულ საწარმოზე და გავლენა მოახდინოს ინვესტორის მომგებიანობაზე. როდესაც ხდება შეფასება აქვს თუ არა ჯგუფს კონტროლი მის ინვესტირებულ კომპანიაზე, გაითვალისწინება მნიშვნელოვანი უფლებების არსებობა, მათ შორის მნიშვნელოვანი პოტენციური ხმის უფლებების ფლობა. ინვესტორს აქვს მნიშვნელოვანი უფლება ინვესტირებულ საწარმოზე, როდესაც მას აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გამოიყენოს იგი შვილობილი საწარმოს საქმიანობების მიმართულების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ჯგუფს შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ინვესტირებულ საწარმოზე მაშინაც, როდესაც იგი ფლობს ხმის უფლებების უმრავლესობაზე ნაკლებს.

შიდა ჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდა ჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

შპს „საქართველოს ფოსტა“ და მისი შვილობილი კომპანია Georgian Post (Greece) I.K.E იყენებენ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ჯგუფის პოლიტიკას.

საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განავითარონ ჯგუფი. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

(ათას ლარში)

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არცერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვრისთვის:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება. ასეთია:

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს ჩაანაცვლოს ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნებია:

1. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია „სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლებით“. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს მოდელში რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ იზომება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილის) სამართლიანი

(ათას ლარში)

ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

2. ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური ვალდებულებები, ასევე ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში. თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულებების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.

3. გაუფასურება. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“ მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.

4. ჰეჯირების აღრიცხვა. შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირებისას აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა „ეკონომიკური ურთიერთობის“ პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებასთან დაკავშირებით.

1. აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულო ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე დანერგვა ფასს 9-ის გამოყენებით შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშის მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ჯგუფი აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ათას ლარში)

ფასს 15-შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

2014 წლის 28 მაისს გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ (2018 წლის 1 იანვარი) ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლების აღიარების არსებულ პრინციპს. მათ შორის ბასს 18-შემოსავლები, ბასს 11-სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ პრინციპზე დაფუძნებულ, ხუთ ეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

2. კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
3. საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
4. ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
5. ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
6. შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან/თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი“ კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე, შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სტანდარტი სავალდებულო ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. ჯგუფი აფასებს მომავალში ფასს 15-ის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ის „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

(ათას ლარში)

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაიანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

2017, 2016 და 2015 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3,1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940
კურსი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	2.3949	2.6169

ფინანსური ინსტრუმენტები

შეფასების ძირითადი ტერმინები

ფინანსური ინსტრუმენტები მათი კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი.

რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი ოპერაციისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ღირებულება ფინანსური აქტივებისათვის ან მიმდინარე მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომელიც კოტირებულია აქტიურ ბაზრებზე. ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება როგორც აქტიურ ბაზარზე კოტირებული, თუ კოტირებული ფასები შესაძლებელია ადვილად და რეგულარულად მივიღოთ გაცვლით ან სხვა გზით და წარმოადგენს ფაქტიურ ფასს რეგულარულად განხორციელებულ საბაზრო ოპერაციებზე გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტი, ან უშუალოდ შემენის მომენტისთვის აქტივის შესაძენად გაწეული სხვა დანახარჯის რეალური ღირებულება, რაც მოიცავს ოპერაციის დანახარჯებს.

(ათას ლარში)

ამორტიზებული ღირებულება არის ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული ძირის გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის აღნიშნულ ოდენობას აკლდება, ასევე, გაუფასურების ზარალი. დარიცხული პროცენტი მოიცავს ტრანზაქციის ღირებულების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებული იქნა თავდაპირველი აღიარებისას და სხვა ნებისმიერ ზედმეტ ან ნაკლებ გადასახადს ვადის შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის ცალკე წარმოდგენილი და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის ღირებულებაში.

ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს დამატებით ხარჯებს რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შეძენას, გაცემას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯია ისეთი ხარჯი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული თუ ტრანზაქცია არ განხორციელდებოდა. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს გასამრჯელოებსა და საკომისიოებს, რომლებსაც უხდიან აგენტებს (მათ შორის თანამშრომლებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩეველებს, ბროკერებსა და დილერებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მიერ დაწესებულ ბეგარას, სატრანსფერო გადასახადსა და ვალდებულებებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სესხის დისკონტსა თუ ფასნამატს, დაფინანსების ხარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ა) ფინანსური აქტივები

ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. ჯგუფი არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. ჯგუფი მათ თავდაპირველ აღიარებას ახდენს რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს. რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. ჯგუფის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით. ფულადი სახსრები,

(ათას ლარში)

რომელთა გამოყენება შეზღუდულია 3 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში, გამოირიცხება აღნიშნული აქტივების ჯგუფებიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურებით მიღებული ზარალი ტარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი წარმოქმნისას ერთი ან მეტი გარემოების („ზარალის შემთხვევა“) დადგომის შემთხვევაში, რაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება და რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან მათი ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფინანსური ნაკადების დროსა და ვადიანობაზე, რისი სანდო განსაზღვრაც შესაძლებელია. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ობიექტური დასაბუთება ცალკე შეფასებული ფინანსური აქტივის მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო გაუფასურების თაობაზე, ის ამ აქტივს აერთიანებს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ის კოლექტიურად ფასდება გაუფასურების ობიექტზე. ძირითადად ჯგუფი განიხილავს ისეთ ფაქტორებს ფინანსური აქტივის გაუფასურებაზე, როგორიცაა მისი ვადიანობის გასვლა და არსებობის შემთხვევაში მისი უზრუნველყოფის რეალიზაციის პოტენციალი.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივი ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები მნიშვნელოვანია ჯგუფების სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დასათვლელად. გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს, არ იყოს გათვალისწინებული. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და შეესაბამება იმგვარ მონაცემებს, როგორებიცაა გადახდისუნარიანობა და სხვა. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა ხდება რეგულარულად, განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით თუ ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები დაექვემდებარება ხელახალ მოლაპარაკებებს ან სხვაგვარად შეიცვლება ფინანსური სირთულეების მიზეზით, გაუფასურება იზომება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით პირობების ცვლილებამდე. თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ხარჯი დაიკლებს და ეს კლება ხდება გაუფასურების ხარჯის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგი სწორდება მოგება ან ზარალის შესაბამისი ანგარიშის კორექტირებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) ჯგუფი გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არ გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

(ათას ლარში)

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეთილი ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში ან (სადაც საჭიროა) საწყისი აღიარების წინა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯებისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების	
	ვადა (წელი)	
მიწის ნაკვეთები	ცვეთა არ ერიცხება	
შენობა-ნაგებობები	10-40	
ავტოტრანსპორტი	2-12	
ოფისის		
აღჭურვილობა	2-15	
მანქანა-დანადგარები	2-10	

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება

ჯგუფი საინვესტიციო ქონებას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და ნებისმიერ უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს.

საინვესტიციო ქონებას ჯგუფი აქტივად აღიარებს როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

საინვესტიციო ქონება აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა მერყეობს 5-დან 40 წლამდე.

გასაყიდად გამიზნული აქტივები

ჯგუფი გასაყიდად გამიზნულ აქტივებს აფასებს მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით ჯგუფი გრძელვადიან აქტივს ანიჭებს გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაციას, თუ მისი საბალანსო ღირებულება ანაზღაურდება გაყიდვის გარიგებით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით.

(ათას ლარში)

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივი წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამების სახით. ისინი აღირიცხება თვითღირებულების და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით.

მარაგები

ჯგუფის მარაგებს წარმოადგენს გასაყიდად გამიზნული საქონელი, საფოსტო მარკები, საწვავი, ნედლეული და სხვა მასალები.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა კი აღიარდება ამ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

კაპიტალის ოპერაციები

კაპიტალის ზრდა აღირიცხება შეტანილი აქტივების რეალური ღირებულებით. კაპიტალის შემცირება აღირიცხება გატანილი აქტივების საბალანსო ღირებულებით. არაფულადი აქტივების გატანა კაპიტალიდან არ შედის ფაისკ 17-ის (არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე) მოქმედების სფეროში გამომდინარე იქიდან, რომ გატანილი აქტივის საბოლოო მესაკუთრე არ იცვლება.

საოპერაციო იჯარა

ჯგუფი იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემაზე. საიჯარო გადასახდელებს და შემოსავლებს ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან ჯგუფი მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და

(ათას ლარში)

შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც ჯგუფს შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოძინებას (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასანამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) დისკონტირების ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

(ათას ლარში)

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფს მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. ჯგუფს სჯერა, რომ ყველა აუდირებული პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია-აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში მაშინ მასთან

(ათას ლარში)

დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც

7. ჯგუფის აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;
8. სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებლობაში განივთებული რესურსების გასვლა; და
9. შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება.

შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

- **საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები.** საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება.
- **მოგების გადასახადი.** ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციების საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფს მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. ჯგუფს სჯერა, რომ ყველა აუდირებული პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.
- **მოთხოვნების გაუფასურება.** გაუფასურების მიზნებისთვის ჯგუფი აჯგუფებს მოთხოვნებს შესაბამის ჯგუფში. გაუფასურების დასათვლელად ჯგუფი იყენებს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით განსაზღვრულ ანარიცხების მატრიცას და მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას. ჯგუფის მიერ გამოყენებული ანარიცხების მატრიცა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2017

30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	0%
31-90 დღის ვადაგადაცილება	10%
91-180 დღის ვადაგადაცილება	20%
181-365 დღის ვადაგადაცილება	50%
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	100%

(ათას ლარში)

- **ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები.** ჯგუფის მიერ ანარიცხის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულების წარდგენა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების რეალურად განხორციელება იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის აღიარებული ან დაფიქსირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	მიწა	ავტო- ტრანსპორტი	საოფისე აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2015	24,300	2,747	7,706	4,184	979	39,915
შემოსვლა	5,021	6,699	1,811	1,347	71	14,948
გასვლა	(5,965)	(6)	(634)	-	-	(6,604)
ისტორიული ღირებულება 31.12.2016	23,356	9,440	8,883	5,531	1,049	48,259
შემოსვლა	2,709	252	1,021	1,383	203	5,568
საინვესტიციო ქონებიდან გადმოტანა	708	33	-	-	-	741
გასვლა	(816)	-	(396)	-	-	(1,213)
ისტორიული ღირებულება 31.12.2017	25,956	9,725	9,508	6,914	1,252	53,356

დაგროვილი ცვეთა

დაგროვილი ცვეთა 31.12.2015	(2,706)	-	(2,289)	(1,336)	(147)	(6,478)
ცვეთა	(783)	-	(886)	(792)	(123)	(2,584)
გასულების დაგროვილი ცვეთა	377	-	141	-	-	518
დაგროვილი ცვეთა 31.12.2016	(3,112)	-	(3,034)	(2,128)	(270)	(8,545)
ცვეთა	(1,045)	-	(932)	(1,105)	(149)	(3,232)
საინვესტიციო ქონებიდან გადმოტანის დაგროვილი ცვეთა	(115)	-	-	-	-	(115)
გასულების დაგროვილი ცვეთა	82	-	313	-	-	395
დაგროვილი ცვეთა 31.12.2017	(4,190)	-	(3,653)	(3,234)	(419)	(11,496)

წმინდა საბალანსო ღირებულება

წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2015	21,594	2,747	5,417	2,848	831	33,437
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2016	20,243	9,440	5,849	3,403	779	39,714
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2017	21,766	9,725	5,855	3,680	833	41,859

6. საინვესტიციო ქონება

	მიწა და შენობა	მიწა	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2015	3,619	76	3,695
შემოტანა	102	-	102
შემოტანა გასაყიდად გამოიზნული აქტივებიდან	2,147	290	2,437
გასვლები	(1,154)	(5)	(1,159)
ისტორიული ღირებულება 31.12.2016	4,714	361	5,075
გადატანა ძირითად საშუალებებში	(708)	(33)	(741)
გასვლები	(870)	(5)	(875)
ისტორიული ღირებულება 31.12.2017	3,136	323	3,459
დაგროვილი ცვეთა			
დაგროვილი ცვეთა 31.12.2015	(460)	-	(460)
ცვეთა	(227)	-	(227)
გადატანა საინვესტიციო ქონებაში	(165)	-	(165)
გასვლების დაგროვილი ცვეთა	93	-	93
დაგროვილი ცვეთა 31.12.2016	(759)	-	(759)
ცვეთა	(191)	-	(191)
გადატანა ძირითად საშუალებებში	115	-	115
გასვლების დაგროვილი ცვეთა	156	-	156
დაგროვილი ცვეთა 31.12.2017	(679)	-	(679)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2015	3,159	76	3,235
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2016	3,955	361	4,316
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2017	2,457	323	2,780

7. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2015	91	5	2	98
ისტორიული ღირებულება 31.12.2016	91	5	2	98
ისტორიული ღირებულება 31.12.2017	91	5	2	98
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 31.12.2015	(14)	(2)	(0)	(16)
ცვეთა	(22)	(1)	(0)	(23)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2016	(36)	(3)	(1)	(39)
ცვეთა	(20)	(1)	(0)	(21)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2017	(56)	(4)	(1)	(61)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2015	77	3	2	82
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2016	55	2	2	59
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2017	35	1	1	37

შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

8. მარაგები

	2017	2016
გასაყიდად გამიზნული საქონელი	2,445	2,160
საფოსტო მარკები	872	262
ნედლეული და მასალები	1,610	788
საწვავი	18	32
სხვა მარაგი	1	-
სულ	4,946	3,242
გაუფასურების რეზერვი	(1,194)	167
წმინდა ნაშთი	3,752	3,409

9. მოთხოვნები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ

საფოსტო საქმიანობებთან დაკავშირებული მოთხოვნები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ

	2017	2016
გერმანიის ფოსტა	1,722	2,259
ჩინეთის ფოსტა	1,222	1,292
რუსეთის ფოსტა	580	375
სინგაპურის ფოსტა	388	277
ისრაელის ფოსტა	359	360
უკრაინის ფოსტა	252	191
ნიდერლანდების ფოსტა	267	251
საფრანგეთის ფოსტა	256	137
აშშ საფოსტო ადმინისტრაცია	207	191
თურქეთის ფოსტა	174	173
შვედეთის ფოსტა	155	109
დიდი ბრიტანეთის ფოსტა	148	186
ავსტრიის ფოსტა	104	252
იტალიის ფოსტა	98	78
ინდოეთის ფოსტა	95	84
სხვა ქვეყნების საფოსტო ადმინისტრაციები	826	787
სულ	6,853	7,002

შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

ფულად გზავნილებთან დაკავშირებული მოთხოვნები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ

	2017	2016
უკრაინის ფოსტა	15	14
ლატვიის ფოსტა	6	1
რუსეთის ფოსტა	5	(3)
სხვა ქვეყნების საფოსტო ადმინისტრაციები	4	6
	30	18

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2017	2016
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	12,064	11,977
სხვა ფინანსური აქტივები	93	94
სულ ფინანსური მოთხოვნები	12,157	12,071
გაუფასურების რეზერვი	(5,499)	(4,586)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	6,658	7,485
არაფინანსური მოთხოვნები		
წინასწარ გადახდილი გადასახადები	107	-
გადახდილი ავანსები	165	184
სულ არაფინანსური მოთხოვნები	272	184
წმინდა მოთხოვნები	6,930	7,669

გაუფასურების რეზერვი

	2017	2016
1 იანვრის მდგომარეობით	(4,586)	(3,144)
წლის გაუფასურების ხარჯი	(913)	(1,442)
აღგენა/ჩამოწერა	-	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	(5,499)	(4,586)

შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობა

	2017	2016
მიმდინარე	1,637	2,373
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	3,324	4,166
31-90 დღის ვადაგადაცილება	803	618
91-180 დღის ვადაგადაცილება	737	470
181-365 დღის ვადაგადაცილება	691	437
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	4,872	3,913
სულ	12,064	11,977
გაუფასურების რეზერვი (სავაჭრო მოთხოვნებზე)	(5,384)	(4,586)
წმინდა ნაშთი	6,680	7,391

11. საბანკო გარანტიები

	2017	2016
საბანკო გარანტია შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ (ერთი პირის საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად)	200	200
საბანკო გარანტია საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავთა ასოციაციის (GIRCA) სასარგებლოდ. (საბაჟო ტირ სისტემაში დაშვებისა და ტირ კარნეტების მისაღებად)	13	13
სულ	213	213

12. ფული და ფულის ექვივალენტები

	2017	2016
ნაღდი ფული საფოსტო საქმიანობიდან	56	57
ჯიხურებში რეალიზაციით მიღებული ფული	79	144
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	5,256	7,270
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	5,016	550
სულ	10,407	8,021

(ათას ლარში)

13. საწესდებო კაპიტალი

2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანების საფუძველზე კომპანიის კაპიტალში განხორციელდა 252 ათასი ლარის ღირებულების შენობისა და მიწის და 191 ათასი ლარის მოძრავი ქონების შეტანა. კაპიტალში შენატანი შესულია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შეფასებული ღირებულებით.

2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანების საფუძველზე კომპანიის კაპიტალიდან განხორციელდა არაფულადი აქტივების გატანა, რომლის საბალანსო ღირებულება გატანის თარიღისთვის შეადგენდა ჯამურად 362 ათას ლარს.

2016 წლის განმავლობაში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანების საფუძველზე კომპანიის კაპიტალში განხორციელდა 8 673 ათასი ლარის ღირებულების შენობების და მიწის შეტანა. შენობები და მიწა კაპიტალში შესულია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შეფასებული ღირებულებით.

2016 წლის განმავლობაში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანების საფუძველზე კომპანიის კაპიტალიდან განხორციელდა არაფულადი აქტივების გატანა, რომლის საბალანსო ღირებულება გატანის თარიღისთვის შეადგენდა ჯამურად 3 002 ათას ლარს.

2015 წლის განმავლობაში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანების საფუძველზე კომპანიის კაპიტალში განხორციელდა 4 015 ათასი ლარის ღირებულების შენობების და მიწის შეტანა. შენობები და მიწა კაპიტალში შესულია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შეფასებული ღირებულებით.

2015 წლის განმავლობაში, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანების საფუძველზე კომპანიის კაპიტალიდან განხორციელდა არაფულადი აქტივების გატანა, რომლის საბალანსო ღირებულება გატანის თარიღისთვის შეადგენდა ჯამურად 1 289 ათას ლარს.

14. ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე

აღნიშნული ვალდებულებიდან 5 646 ათასი ლარი წარმოადგენს შპს „საქართველოს ფოსტა“-ს ვალდებულებას მისი ერთპიროვნული დამფუძნებლის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინაშე. 2015 წელს, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“-ს მიერ, რომლის დამფუძნებელი ასევე არის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სააგენტოსთვის დათმობილ იქნა მოთხოვნა შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მიმართ, 5 646 ათასი ლარის ოდენობით (შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“-ს დამფუძნებელ პარტნიორთა კრება #16/11/2015). შესაბამისად, მას შემდეგ (2015 წლის შემდეგ), შპს „საქართველოს ფოსტა“-ს ანგარიშგებაში, აღნიშნული თანხა ასახულია, როგორც ვალდებულება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინაშე. აღნიშნული თანხის დაფარვას მშობელი კომპანია არ ითხოვს მოკლე ვადიან პერიოდში, თუმცა ასევე არ არის დადგენილი ზუსტი გადახდის დრო/გრაფიკი, რის გამოც აღნიშნული ვალდებულება, სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებებისგან განსხვავებით, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარდგენილი დისკონტირებული ღირებულებით.

შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

3 000 ათასი ლარი არის 2016 სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანება #1/1-3412 – ის საფუძველზე შპს „საქართველოს ფოსტა“-ს ანგარიშზე ჩარიცხული თანხა.

აღნიშნულ ვალდებულებაზეც არ არის განსაზღვრული გადახდის ვადები და მისი ღირებულებაც წარდგენილია დისკონტირების გარეშე.

15. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები და მათი მიმდინარე ნაწილი

	2017		2016	
	გრძელვადიანი	მიმდინარე	გრძელვადიანი	მიმდინარე
ვალდებულება შპს EXPRESS-ის მიმართ	404	362	-	-
სოციალური ჯარიმა	33	71	92	71
სულ	437	433	92	71

სოციალური ჯარიმა წარმოადგენს 2013 წელს სასამართლო გადაწყვეტილებით კომპანიისთვის დაკისრებულ ჯარიმას, რომელიც უკავშირდება კომპანიის თანამშრომლების ანაზღაურებას. დაკისრებული ჯარიმის გადახდა დაიწყო 2014 წლიდან და სრულდება 2019 წელში. მომავალი გადახდები დადისკონტირებულია 11,5% წლიური საპროცენტო განაკვეთით.

ვალდებულება შპს EXPRESS-ის მიმართ წარმოადგენს სავაჭრო ჯიხურების ქორაგნობასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნა 2012-2016 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში. 2017 წლის აგვისტოში დადებულია შეთანხმება აღნიშნული ვალდებულების გადახდის გრაფიკის დადგენასთან დაკავშირებით. გადახდები გადანაწილებულია 2020 წლის თებერვლამდე. მომავალი გადახდები დადისკონტირებულია 11,5% წლიური საპროცენტო განაკვეთით.

16. ანარიცხი

	2017	2016
1 იანვრის მდგომარეობით	563	886
დამატებით შექმნილი ანარიცხი	7	320
ანარიცხის შემცირება	(467)	(643)
31 დეკემბრის მდგომარეობით	103	563

2016 წელს შექმნილი შრომითი დავების ანარიცხებიდან (563 ათასი ლარი) 2017 წელს გამოიყენა (ანაზღაურა) 301 ათასი ლარი, დარჩენილიდან - 166 ათასი ლარი - გააუქმა, რადგან საქმის წაგების მოლოდინი კომპანიის იურისტების შეფასებით 50%-ზე ნაკლებია სასამართლოს მიდგომების ცვლილებების გამო. სასამართლო დავებთან დაკავშირებით იხილეთ შენიშვნა #25.

(ათას ლარში)

17. ვალდებულება საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ

საფოსტო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების წინაშე

	2017	2016
რუსეთის ფოსტა	8,435	3,405
ისრაელის ფოსტა	267	76
გერმანიის ფოსტა	245	322
აშშ საფოსტო ადმინისტრაცია	227	228
დიდი ბრიტანეთის ფოსტა	105	121
საფრანგეთის ფოსტა	84	111
ჩინეთის ფოსტა	69	60
თურქეთის ფოსტა	48	55
ყაზახეთის ფოსტა	38	53
იტალიის ფოსტა	35	32
აზერბაიჯანის ფოსტა	30	36
კანადის ფოსტა	27	24
შვეიცარიის ფოსტა	26	33
შვედეთის ფოსტა	25	23
პოლონეთის ფოსტა	24	35
სხვა ქვეყნების საფოსტო ადმინისტრაციები	247	280
სულ	9,932	4,894

ფულად გზავნილებთან დაკავშირებული ვალდებულებები საერთაშორისო საფოსტო ადმინისტრაციების წინაშე

	2017	2016
სხვა ქვეყნების საფოსტო ადმინისტრაციები	-	-
სულ	-	-

(ათას ლარში)

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2017	2016
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	4,147	6,079
გადასახდელი ხელფასები	218	338
სხვა ფინანსური ვალდებულებები	71	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,436	6,417
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	571	398
საგადასახადო ვალდებულებები	-	757
სხვა ვალდებულებები	33	69
სულ არაფინანსური ვალდებულებები	604	1,224
სულ	5,040	7,641

19. შემოსავალი

	2017	2016
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	32,125	26,049
შემოსავალი სატერმინალო მომსახურებიდან	12,875	13,333
შემოსავალი საფოსტო მომსახურებიდან	26,236	17,316
შემოსავალი საზღვარგარეთის საფოსტო ადმინისტრაციებიდან	6,774	5,489
შემოსავლები ლატარიიდან	2,495	3,227
შემოსავალი ტვირთის გადაზიდვიდან	3,320	2,514
შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	1,749	1,723
შემოსავალი იჯარიდან	325	368
შემოსავალი პრესის გავრცელებიდან	152	140
სხვა შემოსავალი	591	287
სულ	86,642	70,446

20. სხვა შემოსავალი

	2017	2016
მოგება ძირითადი საშუალების გასვლიდან	128	124
სხვა შემოსავლები	-	121
სულ	128	245

შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

21. პერსონალის ხარჯი

	2017	2016
ხელფასი	(22,015)	(21,690)
დაზღვევა	(704)	(675)
პრემია	(847)	(672)
სულ	(23,566)	(23,037)

22. სხვა ხარჯები

	2017	2016
ტრანსპორტირების და გადაზიდვის ხარჯი	(7,772)	(5,622)
საწვავის ხარჯი	(2,770)	(1,876)
იჯარის ხარჯი	(1,280)	(1,327)
კომუნალური ხარჯი	(1,326)	(1,161)
საზღვარგარეთის საფოსტო მომსახურების ხარჯი	(10,006)	(3,795)
საკომისიო ხარჯი	(484)	(581)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(545)	(566)
კომუნიკაციის ხარჯი	(287)	(287)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(351)	(359)
სასამართლო დავების ანარიცხების ხარჯი	160	(320)
დაცვის ხარჯი	(236)	(238)
სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი	(262)	(206)
მივლინების ხარჯი	(1,719)	(1,394)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(71)	(155)
რეკლამის ხარჯი	(325)	(148)
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	(42)	(38)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(75)	(47)
ტრეინინგის ხარჯი	(40)	(131)
ტერმინალის ხარჯი	(336)	(291)
საექსპლუატაციო ხარჯი	(321)	(284)
სამეურნეო ხარჯი	(382)	(150)
საკანცელარიო ხარჯები	(455)	(484)
კომპიუტერის ხარჯები	(89)	(102)
იურიდიული მომსახურება	(20)	(8)
საწევრო გადასახადის ხარჯი	(67)	(30)
GPRS და სალარო აპარატების მომსახურება	(77)	(51)
აეროპორტის ტერ-ზე სატვირთოებით მომსახურება	(128)	(78)
სპეცტანსაცმლისა და სხვა ნივთების ხარჯი	(173)	(204)
ჯარიმები და სხვადასხვა ზარალის ანაზღაურება	(323)	(293)
სხვა ხარჯები	(570)	(324)
სულ	(30,372)	(20,550)

23. საპროცენტო შემოსავალი, ნეტო

	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი, საბანკო ანგარიშზე	470	281
საპროცენტო ხარჯი გრძელვადიან ვალდებულებაზე	(16)	(34)
სულ საპროცენტო შემოსავალი, ნეტო	454	247

24. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი შედგება მიმდინარე გადასახადისაგან, რომელიც დედა კომპანიას დაერიცხა არარეზიდენტი პირის (შვილობილი - Georgian Post (Greece) I.K.E) კაპიტალში განხორციელებული შენატანის გამო.

საქართველოს საგადასახო კოდექსში ესტონურ მოდელთან დაკავშირებული ცვლილებების შეტანის შემდეგ, მოგების გადასახადით იბეგრება "არარეზიდენტის ან/და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა."

25. სასამართლო დავები

2015, 2016 წლებში კომპანიას შექმნილი ჰქონდა ანარიცხი მის წინააღმდეგ არსებული შრომითი დავების გამო, რადგან კომპანიის იურისტების ხედვით, შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ ამ დავების მოგება იყო ნაკლებად მოსალოდნელი.

შრომითი დავების დროს მოსარჩელები უმეტესად ითხოვენ ყოველთვიური განაცდურის ანაზღაურებას დავის დასრულებამდე. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სასამართლომ განაცდურის ანაზღაურების ნაცვლად კომპანიას დააკისრა კონკრეტული კომპენსაციის თანხა. შრომითი დავების ჭრილში, შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მიმართ სადაო მოთხოვნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაახლოებით შეადგენს 605 ათას ლარს. აქედან 103 ათას ლარს შეადგენს განაცდურის ანაზღაურების მაგივრად სასამართლოს მიერ დაკისრებული კომპენსაციის თანხა.

2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი შემცირებულია, რადგან კომპანიის იურისტების დაკვირვებით, მიდგომები სასამართლოს მხრიდან იცვლება და მათი მოლოდინი შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მხრიდან საქმეების მოგების იმაზე მეტია, ვიდრე წაგების. ანარიცხებში დარჩა მხოლოდ ის კომპენსაციის თანხები, რომლის გადახდაც სასამართლომ დააკისრა შპს „საქართველოს ფოსტა“-ს. აღსანიშნავია რომ ეს გადაწყვეტილებებიც კომპანიის მიერ გასაჩივრებულია.

შრომითი დავების გარდა შპს „საქართველოს ფოსტა“-ს წინააღმდეგ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასამართლო პროცესების მოთხოვნილი თანხა შეადგენს 157 ათას ლარს, რომლის გასვლასაც კომპანიის იურისტები ნაკლებად მოსალოდნელად თვლიან.

ასევე შპს „საქართველოს ფოსტა“-ს წინააღმდეგ არსებობდა დავა 31.12.2017 მდგომარეობით შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ - დაკავშირებული მხარის - მხრიდან. სადაო თანხა იყო 936 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში

(ათას ლარში)

როგორც ვალდებულება. იხილეთ ასევე განმარტებითი შენიშვნა დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შედგა 2018 წლის თებერვალში მორიგების აქტი, რის საფუძველზეც შპს „საქართველოს ფოსტა“-მ შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“-ს გადასცა 662 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. დარჩენილი 275 ათასი ლარი რჩება შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ წინაშე ვალდებულებად წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვისაც.

შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მხრიდან სხვა სუბიექტების მიმართ არსებული სასამართლო დავებით მოთხოვნილი თანხები ასახულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაწილში შესაბამისი გაუფასურების გათვალისწინებით.

26. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- 1. საკრედიტო რისკი**
- 2. ლიკვიდურობის რისკი**
- 3. საბაზრო რისკი**
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფში შემავალი კომპანიების მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მათ დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

	2017	2016
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტი	10,407	8,021
საბანკო გარანტიები	213	213
სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ	6,680	7,391
მოთხოვნები საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	6,883	7,019
სხვა ფინანსური მოთხოვნები	93	-
სულ ფინანსური აქტივები	24,276	22,644

ჯგუფი აღიარებს გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნებისადმი მომავალი შესაძლო დანაკარგების შეფასებას. აღნიშნული ანარიცხის მთავარი კომპონენტია ჯგუფური ანარიცხი, რომელიც გამოითვლება კლიენტთა ვადაგადაცილების ანალიზით. ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იხ. მე-10 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისათვის მოცემულია ქვემოთ.

	2017	2016
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტი	10,407	8,021
საბანკო გარანტიები	213	213
სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ	6,680	7,391
მოთხოვნები საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	6,883	7,020
სხვა ფინანსური მოთხოვნები	74	-
სულ ფინანსური აქტივები	24,257	22,645

შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	4,148	6,079
ვალდებულებები საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	9,932	4,894
გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	433	71
გრძელვადიანი ვალდებულება	437	92
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	5,646	5,646
გადასახდელი ხელფასები	218	338
სხვა ფინანსური ვალდებულებები	71	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	20,885	17,120
პროფიციტი/ (დეფიციტი)	3,372	5,525

წმინდა ლიკვიდურობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტი	10,407	-	-	10,407
საბანკო გარანტიები	-	-	213	213
სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ	6,680	-	-	6,680
მოთხოვნები საფოსტო ადმინისტრაციებთან	-	6,883	-	6,883
სხვა ფინანსური მოთხოვნები	35	14	25	74
სულ ფინანსური აქტივები	17,122	6,897	238	24,257
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	4,148	-	-	4,148
ვალდებულებები საფოსტო ადმინისტრაციებთან	-	9,932	-	9,932
გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	91	343	-	434
გრძელვადიანი ვალდებულება	-	-	437	437
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	-	-	5,646	5,646
გადასახდელი ხელფასები	218	-	-	218
სხვა ფინანსური ვალდებულებები	71	-	-	71
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,528	10,275	6,083	20,886
პოზიცია	12,594	(3,378)	(5,845)	3,371

(ათას ლარში)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტული ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო.

სავალუტო რისკის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	SDR = 3.6890	USD = 2.5922	EUR= 3.1044	სხვა ვალუტა	ჯამი
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტი	5,392	-	4,758	258	-	10,408
საბანკო გარანტიები	200	-	13	-	-	213
სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ	3,731	-	728	2,196	24	6,679
მოთხოვნები საფოსტო ადმინისტრაციებთან	-	6,883	-	-	-	6,883
სხვა ფინანსური მოთხოვნები	73	-	-	1	-	74
სულ ფინანსური აქტივები	9,396	6,883	5,499	2,455	24	24,257
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები	3,526	-	588	27	7	4,148
ვალდებულებები საფოსტო ადმინისტრაციების მიმართ	-	9,932	-	-	-	9,932
გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	433	-	-	-	-	433
გრძელვადიანი ვალდებულება	437	-	-	-	-	437
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	5,646	-	-	-	-	5,646
გადასახდელი ხელფასები	218	-	-	-	-	218
სხვა ფინანსური ვალდებულებები	71	-	-	-	-	71
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,331	9,932	588	27	7	20,886
სავალუტო პოზიცია	(935)	(3,049)	4,911	2,428	17	3,371

შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ათას ლარში)

	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი		SDR -ეფექტი	
	ლარი/დოლარი	ლარი/დოლარი	ლარი/ევრო	ლარი/ევრო	ლარი/SDR	ლარი/SDR
	+20%	-20%	+20%	-20%	+20%	-20%
მოგება/ზარალი	(982)	982	(486)	486	610	(610)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას აშშ დოლარისა და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

ჯგუფს არ გააჩნია საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

27. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე;

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. ჯგუფსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
საერთო დამფუძნებელი	6	40
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
საერთო დამფუძნებელი	1,754	2,919
დამფუძნებელი	5,675	5,675

	2017	2016
შემოსავალი		
საერთო დამფუძნებელი	2,913	3,616
სხვა საოპერაციო ხარჯები		
საერთო დამფუძნებელი	381	576
	2017	2016
მენეჯმენტზე გაწეული შრომის ანაზღაურება და მასთან გათანაბრებული ხარჯი	279	274

28. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენებს:

2018 წელს კომპანიის კაპიტალი შემცირდა ჯამურად 571 ათასი ლარით.

2018 წელს შპს „საქართველოს ფოსტა“-მ განხორციელდა კომპლექსური შესყიდვები: შენობების შესყიდვა - 246 ათასი ლარის; რემონტი 232 ათასი ლარის; სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა 1,023 ათასი ლარის.

2018 წლის აპრილში იქნა გადაწყვეტილება მიღებული ჩეხეთის რესპუბლიკაში ფოსტის საერთაშორისო გაცვლითი ცენტრის დაფუძნებაზე, დააფუძნეს 2018 წლის ივლისში შპს ჯორჯიან პოსტ (ჩეხ) 07294816. მის საქმიანობას წარმოადგენს საფოსტო მომსახურებების მიწოდება და საზღვარგარეთული საფოსტო მომსახურებების უზრუნველყოფა. მისი 100%-იანი წილის მფლობელია შპს „საქართველოს ფოსტა“. კაპიტალი განისაზღვრა 200 (ორასი ათასი) ჩეხური კრონით, რომელიც შეტანილი იქნა შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ 12 ივლისს, რაც ლარში წარმოადგენდა 22 ათას ლარს.

29. ფუნქციონირებადობა

ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი განისაზღვრება რამდენიმე ძირითადი ფაქტორით:

1. ჯგუფის 100% მფლობელი არის სახელმწიფო.
2. ჯგუფის სტრატეგია არის მომავალზე ორიენტირებული, რაც გამოიხატება მომხმარებლისთვის ახალი პროდუქტების და სერვისების შეთავაზებაში.

**შპს „საქართველოს ფოსტა“ - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

3. ჯგუფი წლების განმავლობაში ვითარდება, რაც გამოხატულია ყოველწლიური ბრუნვის ზრდით, აგრეთვე კომპანიის აქტივების ჯამური ღირებულებით.

4. ჯგუფი გახლავთ ბაზარზე ძირითადი მოთამაშე, ყველა ძირითად ბიზნეს საქმიანობაში (საფოსტო საქმიანობა, გადაზიდვის მომსახურეობა და საცალო ვაჭრობა).

ჯგუფის სამომავლო გეგმებია:

1. საფოსტო საკურიერო მომსახურების განვითარება.
2. ელექტრონული კომერციის განვითარება.
3. ფინანსური პროდუქტების განვითარება.
4. სატრანზიტო გზავნილების გატარება.

აღსანიშნავია, რომ არსებობს დამფუძნებლის მხრიდან ზოგადი განზრახვა შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტა“-ს პრივატიზებასთან მიმართებაში, თუმცა, ამის მიუხედავად, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თარიღის, ასევე მისი დამტკიცების თარიღის მდგომარეობით, არ არსებობს რეალური საფუძველი ან/და ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კომპანიის ან/და მისი წილის გასხვისების/პრივატიზების რეალურ წინაპირობას შექმნიდნენ. ამასთანავე, შესამუშავებელია ნორმატიული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც კანონის დონეზე დაარეგულირებს საფოსტო საქმიანობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტა“-ს ან/და მისი წილის გასხვისება/პრივატიზება არ მოიაზრება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან, ასევე მისი დამტკიცების თარიღიდან მინიმუმ მომდევნო 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში.